

შპს „ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ნიუ ტექნოლოჯი იმპექს"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
ერთეული: 1 GEL			
	საანგარიშგებო თარიღი		
	31.12.2021	31.12.2020	შენიშვნა
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	859	78909	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	208463	197220	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	110405	129340	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები			
მარაგები	106536	3539747	3
მ.შ. - მზა პროდუქცია	36053	459733	
- სხვა	70483	3080014	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2905	26176	
ბიოლოგიური აქტივები			
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	1880	2066	
ძირითადი საშუალებები	1129104	1266604	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	1560152	5240062	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი			
სავაჭრო ვალდებულებები	66102	10039	
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1005	2755	3.4
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი	2008	523	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	5677936	6535067	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები			
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		72998	
სულ ვალდებულებები	5747051	6621382	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	264706	107807	
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-4451605	-1489127	
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	-4186899	-1381320	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1560152	5240062	
სულ მოკლევადიანი აქტივები	429168	3971392	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5747051	6621382	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.			
დირექტორი: _____ დ.მიმინოშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ნიუ ტექნოლოგი იმპექს"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	1168686	1530704	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	1166414	1510325	
- მომსახურების გაწევიდან	2272	20379	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-3490056	-1794126	
საერთო მოგება	-2321370	-263422	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-39031	-298370	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-140315	-90759	
საპროცენტო შემოსავალი		1	
საპროცენტო ხარჯი	-375358	-280115	
იჯარის ხარჯი	-59672	-47295	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-352497	-295431	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-966873	-1011969	
საოპერაციო მოგება	-3288243	-1275391	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	325738	-202242	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	58	-11494	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციები	-2962447	-1489127	
მოგების გადასახადის ხარჯი	-32		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-2962479	-1489127	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვები			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-2962479	-1489127	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-1381320	107807	3.9
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	156900		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-4186899	-1381320	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.			
დირექტორი: _____	დ.მიმინოშვილი		
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ნიუ ტექნოლოჯი იმპექს"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	899178	-4807650
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-1656626	-1359428
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	353660	6272973
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-403788	105895
სავალუტო კურსის ეფექტი	325738	-26986
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	78909	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	859	78909
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.		
დირექტორი: _____	დ.მიმინოშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2020 წლის 3 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404595176, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ., N 37-39, საოფისე ფართი N 602. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან: სს „საპარტნიორო ფონდი“ (ს/კ 404404550) - 10% და საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651) - 90%.

1.3. კომპანიის დირექტორია დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა დამცავი პირბადეების წარმოება. დამხმარე ეკონომიკური საქმიანობაა სატრანსპორტო მომსახურება, რომელიც გაიწევა მხოლოდ ძირითადი საქმიანობის საჭიროების ფარგლებში.

1.5. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. 2021 წლის ბოლოს განმავლობაში, კომპანიაში დასაქმებულ პირთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენდა 17 კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2021 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2209 ლარი; 1 EUR=3.8140 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.1097 ლარი; 1 EUR=3.5521 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები:

კომპანიის ფულადი სახსრები 2021 წლის ბოლოს შედგებოდა:

	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარები ადგილობრივ ბანკებში	5770
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	73139
სულ:	78909

3.2. მარაგები:

კომპანიის მარაგები 2021 წლის ბოლოს შედგებოდა:

	ნაშთი 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით
ძირითადი ნედლეული და მასალები	16795.00
დამხმარე მასალები	3951.00
წუნდებული პროდუქცია და მასალები	28691.00
დაუმთავრებელი წარმოება	1331.00
მზა პროდუქცია	36053.00
სარემონტო სასაქონლო- მატერიალური მარაგი	19645.00
სულ	106466.00

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. 2021 წლის 31 დეკემბრის ბოლოს, კომპანია ფლობდა შემდეგი სახის ძირითად საშუალებებს:

— « ½ —	საბალანსო ღირებულებ ა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეო ბით	2021 წელს დარიცხულ ი ცვეთა	გაუმჯობესე ბა	საბალანსო ღირებულებ ა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეო ბით
მანქანა-დანადგარები	1 230 640	131 875	2630.00	1 101 396
კავშირგაბმულობის საშუალებები	227	63		164
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	3 519	797		2 722
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	3 615	1 007		2 608
ავეჯი	443	47		396
ინვენტარი	6 462	1 443		5 019
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	21 698	4 898		16 800
სულ	1 266 604	140 130	2630.00	1 129 104

3.4. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

2021 წლის ბოლოს, კომპანიის ჰქონდა შემდეგი ვალდებულებები დაქირავებულ თანამშრომელთა წინაშე:

დასახელება	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები	43.00
ვალდებულებები პერსონალის წინაშე საპენსიო შენატანებზე	347.00
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების წინაშე	615.00
სულ	1005.00

3.5. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები რეზიდენტი შპს-სგან და „თიბისი ბანკი“-სგან:

დასახელება	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სესხი რეზიდენტი იურიდიული პირისაგან	1443264.00
TBC ბანკის სესხი	4234672.00
სულ	5677936.00

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა:

პირბადეების გაყიდვიდან მიღებული - 1135008 ლარი;

მასალის გაყიდვიდან მიღებული - 33678 ლარი;

სატრანსპორტო მომსახურება - 2272 ლარი;

რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაა: 3490056 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებაზე გავლენას ახდენს იმპორტირებული ნედლეულის სიძვირე.

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა ხელფასების, იჯარის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

2020 წელს, კომპანიის ადმინისტრაციულმა და სხვა საოპერაციო ხარჯებმა (გარდა ხელფასების, იჯარის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა) შეადგინა 27531 ლარი, მათ შორის:

ხარჯი	2021 წელი
საწარმოო ზედნადები ხარჯები	159318.00
დამხმარე მასალები	140516.00
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების, დაცლის და შენახვის ხარჯი	13565.00
კომუნიკაციის ხარჯები	1977.00
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	2823.00
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	34298.00
სულ	352497.00

3.8. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი:

2021 წელს, კომპანიის წმინდა არასაოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 58 ლარი, მათ შორის:

	2021 წელი
საგადასახადო შეღავათი პანდემიის გამო საშემოსავლო გადასახადში	2478.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-2420.00
სულ	58.00

3.9. საკუთარი კაპიტალი:

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით, პარტნიორის მიერ განსაზღვრული საწესდებო კაპიტალი 107807 ლარის ტოლი იყო.

პარტნიორის გადაწყვეტილებით ივლისის თვეში მოხდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა 156900 ლარით

2021 წლის ბოლოს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 264708 ლარს.

2021 წლის ზარალმა შეადგინა 2962479 ლარი. შესაბამისად, 2021 წლის ბოლოს კომპანიის საკუთარი კაპიტალი უარყოფითია და -4186899 ლარს შეადგენს.

3.10. სასამართლო დავები:

კომპანიას 2021წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრამდე პერიოდში, წარმოება შეჩერებულია, შეწყდა პირბადეების წარმოება, რადგან ამ ეტაპზე ეს საქმიანობა არის წამგებიანი.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 29 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი		
	31.12.2021	31.12.2020	შენიშვნა
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	859	78909	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	208463	197220	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	110405	129340	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები			
მარაგები			
მ.შ. - მზა პროდუქცია	106536	3539747	3.2
- სხვა	36053	459733	
საინვესტიციო ქონება	70483	3080014	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2905	26176	
ბიოლოგიური აქტივები			
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	1880	2066	3.3
ძირითადი საშუალებები	1129104	1266604	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	1560152	5240062	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი			
სავაჭრო ვალდებულებები	66102	10039	3.4
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1005	2755	
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი	2008	523	3.5
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	5677936	6535067	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები			
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		72998	
სულ ვალდებულებები	5747051	6621382	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	264706	107807	
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-4451605	-1489127	
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	-4186899	-1381320	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1560152	5240062	
სულ მოკლევადიანი აქტივები	429168	3971392	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5747051	6621382	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.

დირექტორი:

დ.მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ნიუ ტექნოლოგი იმპექს"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები			
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	1168686	1530704	3.6
- მომსახურების გაწევიდან	1166414	1510325	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	2272	20379	
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-3490056	-1794126	
საერთო მოგება	-2321370	-263422	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-39031	-298370	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-140315	-90759	
საპროცენტო შემოსავალი		1	
საპროცენტო ხარჯი	-375358	-280115	
იჯარის ხარჯი	-59672	-47295	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-352497	-295431	
სულ საოპერაციო ხარჯები	-966873	-1011969	
საოპერაციო მოგება	-3288243	-1275391	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.8
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	325738	-202242	
მიღებული დივიდენდები			3.8
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	58	-11494	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-2962447	-1489127	
მოგების გადასახადის ხარჯი	-32		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-2962479	-1489127	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			3.9
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-2962479	-1489127	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-1381320	107807	3.9
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	156900		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-4186899	-1381320	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.

დირექტორი: _____

დ.მიმინოშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ნიუ ტექნოლოჯი იმპეკს"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	899178	-4807650
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-1656626	-1359428
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	353660	6272973
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-403788	105895
სავალუტო კურსის ეფექტი	325738	-26986
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	78909	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	859	78909

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.

დირექტორი: _____

დ.მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნებები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.